

მოქალაქე ნოდარ დანგაძის დაჯარიმების შე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით 21.07.2014 წ. № დ-5612 მომართა დ. აღმაშენებლის გამზირი №142-ში მცხოვრებმა მოქალაქე ნოდარ დანგაძემ, რომელიც ითხოვდა ქალაქ ქუთაისში, დ. აღმაშენებლის გამზირი №142-ის დასავლეთით კუთვნილ მიწის ნაკვეთში მრავალფუნქციური დანიშნულების შენობის კორექტირებული სამშენებლო დოკუმენტის პროექტის შეთანხმებას (რაც გულისხმობს შენობის ფუნქციის შეცვლას საცხოვრებელი სახლისა და ოფისის ფუნქციით).

შემოწმებით დადგინდა, რომ მშენებლობა ნაწარმოებია პროექტის დარღვევით, კერძოდ: შენობის პირველი სართულის სიმაღლე 1 და 2 ღერძებში უნდა იყოს 5.100 მეტრი. ფაქტიურად ეს სივრცე გამოყოფილია ორ ნაწილად 100 მილიმეტრიანი სისქის რკინა-ბეტონის ფილით, რითაც შეიქმნა ორი სივრცე სიმაღლით, თითოეული 2.550 მეტრი, რაც პროექტით არ არის გათვალისწინებული. უპროექტოდ არის აშენებული ლიფტის უჯრედი.

აღნიშნულით დარღვეულია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რაც ითვალისწინებს დამრღვევის დაჯარიმებას 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მოქ. ნოდარ დანგაძე მცხოვრები ქ.ქუთაისი დ. აღმაშენებლის გამზირი №142-ში „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 45-ე მუხლის“ პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაჯარიმდეს 1000 /ათასი/ ლარით.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ დაჯარიმება დამრღვევს არ ათავისუფლებს დარღვევის გამოსწორებისაგან, ასევე, დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, მიღებული იქნება გადაწყვეტილება საურავის დაკისრების შესახებ.

3. ჯარიმა ჩაირიცხოს: მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო ქუთაისი, ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა, მიმღები ბანკის კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი 300183263, შემოსავალი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში სამართალდარღვევებიდან.

4. სამართალდამრღვევმა ჯარიმის თანხა უნდა გადაიხადოს ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ჩაბარებიდან 30 დღეში.

5. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, ნოდარ მიქიაშვილმა

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან 15 დღის განმავლობაში.

7. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

შოთა მურდულია